ხელშეკრულება მომსახურების შესყიდვაზე № 39/1

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

გორი 01 დეკემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ, ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის მარინე გიუნაშვილის სახით და მეორეს მხრივ, ფ/პირი ლაურა ტერუნაშვილი (შემდგომში - მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, საკუთარი წესდებით მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას;

ტერმინთა განმარტებები

ხელშეკრულება - წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითურთ.

შემსყიდველი – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

მიმწოდებელი – პირი, რომელიც ასრულებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

ხელშეკრულების ღირებულება - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულებისათვის.

დღე, კვირა, თვე - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

ფორსმაჟორი - მოცემულ შემთხვევაში აუცდენელი დაუძლეველი ძალა, რომელიც დგება მხარეთა ნებისგან დამოუკიდებლად და ატარებს წინასწარ გაუთვალისწინებელ ხასიათს, კერძოდ, მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, ომი, რევოლუცია, აჯანყება, იმპორტისა და ექსპორტის აკრძალვა, აგრეთვე სხვა გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ან იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მომსახურების შესყიდვა CPVკოდი- 9091920) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

მუხლი 2. ხელშეკრულების ობიექტი

1.1. ხელშეკრულების ობიექტია სტალინის ქ. 2-ში განთავსებული დაწესებულების (ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი) კუთვნილ ფართზე სანიტარიული მოომსახურეობის გაწევა.

მუხლი 3. ხელშეკრულების საგნის ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 125 (ას ოცდახუთი) ლარს და მოიცავს მომსახურებასთან დაკავშირებულ

ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადის ჩათვლით.

3.2. შემსყიდველის მიერ ანგარიშსწორება მოხდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების შემდგომ, შესაბამისი დოკუმენტაციის - (მიღება-ჩაბარების აქტი) გაფორმების შესაბამისად, სახელშეკრულებო ვადაში.

3.3. ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას ახდენს შემსყიდველი საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 4. სამუშაოს შესრულების ადგილი და ვადა

4.1. სამუშაოს (მომსახურების) შესრულების ადგილია გორი, სტალინის ქ. 2

4.2. სამუშაო (მომსახურება) უნდა შესრულდეს სახელშეკრულებო ვადაში.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) ამ მუხლის 5.3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში თავად მიიღოს ზომები წარმოქმნილი პრობლემის გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) სამუშაოების შესრულების პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე უზრუნველყოს უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

გ) დაიცვას უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ნორმები.

5.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება.

მუხლი 6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი საჭიროების შემთხვევაში.

6.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე შესრულებული სამუშაოს ხარისხის შემოწმებას.

6.3. ნებისმიერი ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება

ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის.

8.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.4. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9 სხვა

9.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

9.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

მუხლი 10. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს

მოქმედიკანონმდებლობის შესაბამისად.

11.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

11.4. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

11.5. ხელშეკრულება ძალაშია მისი მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

შემსყიდველის მხრიდან:	მიმწოდებლის მხრიდან:
ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ...აცვის ცენტრი	ფ/პ ლაურა ტერუნაშვილი
მისამართი გორი, სტალინის ქ. # 2	ფაქტიური მისამართი: გორი, გორიჯვრის ქ. 88
ს/კ 218081590	პ/ნ 59001117840
ხაზინის ერთიანი ანგარიში	მომსახურე ბანკი: სს საქართველოს ბანკი
მომსახურე ბანკი: სახელმწიფო ხაზინა	ბ/კ BAGAGE22
ბ/კ TRESGE22,	ა/ნ GE95BG0000000154180600
ტელ.: 0 (370) 27 46 85,	ტელ.:
დირექტორი: მ. გიუნაშვილი	ფ/პ ლ. ტერუნაშვილი

218081590